

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №477

2014 წლის 8 აგვისტო

ქ.თბილისი

„ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 10/01/2014, 300160070.10.003.017647) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 10¹ პუნქტი:

„10¹. სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების და გზების მოწყობის, რეაბილიტაციის ან/და მოვლის შემთხვევაში, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და მისი განფენა ხორციელდება სახელმწიფო ტყის ფონდის მიწის ფართობზე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

